საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

23/12/2025

MES 1 25 0001848927

## გადაწყვეტილება

## სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აგრონომიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული შუამდგომლობის (წერილი №1718869, 03/12/2025), საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 28 ივნისის № 29 გადაწყვეტილების, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 9 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, “განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” $27^{8}$-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

## საბჭომ გადაწყვიტა:

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა და „აგრონომიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2026 წლის 6 მარტის ჩათვლით) დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 23 დეკემბრის სხდომის №1848933 ოქმის №09 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 23 დეკემბრიდან.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ.

თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე